

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა **2020 წლის 31**
დეკემბერს

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა.....	10
4. ამონაგები	11
5. ფინანსური დანახარჯები	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. ბანკის სესხი	12
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	12
12. კაპიტალი	13
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	13

შპს „ბრენდ არ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400126671

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	3669373	3631506
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-1602552	-1605329
საერთო მოგება		2066821	2026177
სხვა შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-579763	-635026
ცვეთა და ამორტიზაცია		0	-4625
საპროცენტო ხარჯი	5	-25040	-32128
იჯარის ხარჯი	11	-244157	-209357
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-179402	-192630
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		1038459	952411
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	5	-23388	0
მოგება დაბეგვრამდე		1015071	952411
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		1015071	952411

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1015071	952411

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1964442	1352031
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-451888	-340000
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-109679	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2417946	1964442

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები		3297188	3208935	1867957
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	79703	40072	74082
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	192068	203678	171399
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	2927261	2965185	1622476
სხვა მიმდინარე აქტივები		1092	0	0
გაცემული ავანსები		97064	0	0
გრძელვადიანი აქტივები		165186	33512	48143
ძირითადი საშუალებები	8	165186	33512	48143
არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		3462374	3242447	191610
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე ვალდებულებები		898336	1115481	307264
სავაჭრო ვალდებულებები	10	839093	999592	307264
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	0	115889	0
მიღებული ავანსები		59243	0	0
გადასახდელი დივიდენდები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები		146092	162524	256805
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	146092	162524	256805

სულ ვალდებულებები:		1044428	1278005	564069
საკუთარი კაპიტალი		2417946	1964442	1352031
საწესდებო კაპიტალი	12	0	1012031	0
გაუნაწილებელი მოგება		2404403	952411	1352031
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		13543	0	0
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3462374	3242447	1916100

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრენდ არ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 23, ბ. 14.

კომპანიის ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 7 დეკემბერს. ნაცვლად ეკატერინე ჯოლბორდისა (პ/ნ: 01027046121) დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი ლომიძე (პ/ნ: 01010016551).

მისი ძირითადი საქმიანობაა სანათი საშუალებებით ვაჭრობა როგორც იმპორტირებული ასევე ადგილზე წარმოებული.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არარეზიდენტ მომწოდებელს (იმპორტიორს) საქონელის მოწოდების ვადის დარღვევის გამო ერიცხება პირგასამტეხლო პროცენტის სახით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2020	2019
საქონლის რეალიზაცია	3,669,373	3,631,506
მომსახურების გაწევა	0	0
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	(801)	0
	3,668,572	3,631,506

5. ფინანსური დანახარჯები

	2020	2019
ბანკის სესხის პროცენტი	25,040	32,128
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23,388	0
	48,428	32,128

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო დებიტორები	192,068	203,678
წინასწარი გადახდები	97,064	0
	289132	203678

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020	2019
საქონელი	2,927,261	2,965,185
	2,927,261	2,965,185

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2020 წ.	16,925	26,655	20,462	53,241	117,283
შემოსვლა	42,791	1,236	3,876	42,791	90,694
გასვლა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2020 წ.	59,715	27,892	24,338	53,241	165,186

9. ბანკის სესხი

	2020	2019
ბანკის სესხი	146,092	278,413
	146,092	278,413

10. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 839,093 ლარს (2019 წლის 31 დეკემბრისთვის 999,592 ლარი)

11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

	2020	2019
მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	244,157	209,357

12. კაპიტალი

2020 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	35,934	795
ფულადი სახსრები ბანკში	43,770	36,114

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1964442	1352031
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-451888	-340000
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-109679	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2417946	1964442

დირექტორი: გიორგი ლომიძე
ხელმოწერა:



სულ ვალდებულებები:		1044428	1278005	564069
საკუთარი კაპიტალი		2417946	1964442	1352031
საწესდებო კაპიტალი	12	0	1012031	0
გაუნაწილებელი მოგება		2404403	952411	1352031
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		13543	0	0
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3462374	3242447	1916100

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა



6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

12. კაპიტალი

2020 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	35,934	795
ფულადი სახსრები ბანკში	43,770	36,114

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

